№ 120 მთავრობის მოამგე

საქართველოს რესპუბლიკა

უოველდღიური გაზეთი

წელიწადი მესამე

ფასი 3 მან. ოთხშაბათი, ივნისის 2 1920 წ.

მთავრობის მოამგე, უოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა

მიიღება ხელის მოწერა გაზ. „საქ. რესპ.“ 1920 წლისთვის. გაზეთი ღირს 1 თვით 70 მან., ცალკე ნომერი ყველგან 3 მან. განცხადების ფასი პირველ გვ. პეტიტის სტრიქონი ტექსტისწინ 4 მან. მე-4 გვ. 3 მ. 50 კ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრ. ზომისა 140 მ. 1 იანვ. გაზეთი ნისიად არავის გაეგზავნება. რედაქციის კანტორის მისამართი: ტფილისი, ბარონის ქ. № 6. ტელეფონი 1—82.

მრეწველობის წესდების მე-76 მუხლ. მიხედვით კანონ. კრებ. ტომი მე-II ნაწილი მე-II გამოც. 1913 წლ.

ვაჭრობა-მრეწველობ. დეპარტამენტი

ამით აცხადებს, რომ მის მიერ გამოცემულია შემდეგი დამცვლელი მოწმობები წარმოდგენილ გამოგონებებზე და გაუმჯობესებაზე უპირატესობათა (პრივილეგიების).

1. 1920 წ. მარტის 24, მე-769 ნომრით ა. ფ. ბორისევიჩს ჰოფმანის ქურების ნავთით გამხურებელ მოწყობილებაზე.

2. 1920 წ. აპრილის სამს, მე-872 ნომრით ვ. ი. ლანგამერს ნახშირ-მჟავეული გაზნარევი სითხეებიდან, ქიმიურად წმინდა ნახშირ-მჟავის მიღების საშუალებაზე.

3. 1920 წ. მაისის ოთხს, მე-1031 ნომრით ი. ი. ოგოროდნევს ჰიდვრალური კარლინოკარცის ცემენტის მიღების საშუალებაზე.

4. 1920 წ. მაისის 18, მე-1132 ნომრით კ. პ. პლუჟნიკოვს ფეხსაცმელთათვის ხის ლურსმნების გამკეთებელ მანქანაზე სახელწოდებით „ვერა“ და „ნადეჟდა“.

5. 1920 წ. მაისის 18-ს მე-1135 ნომრით იმავე პირს ფეხსაცმელთათვის ხის ლურსმნების გამკეთებელ მანქანაზე, სახელწოდებით „ალფა“.

6. 1920 წ. მაისის 18-ს მე-1134 ნომრით იმავე პირს ფეხსაცმელთათვის ხის ლურსმნების გამკეთებელ მანქანაზე სახელწოდებით „ზაიჩიქ“, „სილაჩ“ და „კოსმა“.

7. 1920 წ. მაისის 27-ს მე-1178 ნომრით ქრისტიფორე გიორგის ძე ავალოვს უგასაღებო ბოქლომზე და კლიტეზე.

სამი თვის განმავლობაში დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა ვაჭრობა-მრეწველობის დეპარტამენტი იღებს სათანადო დასაბუთებულ განცხადებებს იმის შესახებ თუ ესა თუ ის ზემოდ აღნიშნული გამოგონება, ან გაუმჯობესება უკვე ცნობილია. ან შესულია ხმარებაში, ან რუსეთის მიერ უპირატესობა აქვს მინიჭებული. 603 1—1

ლიკვიდაცია

ლუდის ქარხნის „ამხ. ტფილისი“ ლუდის დამზადება“-ს

ყოფილი ვეტცელის ლიკვიდაციის გამო, დღეიდან იყიდება დარჩენილი ლუდი 25 მან. ბოთლი, ქარხანაში უჭურჭლოთ. მისამართი: დიდი მთავრის ქ., № 68. ტელ- 9—47.

1310 3—1

ოფიციალური განყოფილება

განკარგულებანი

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსი.

6 მაისი, 1920 წ., № 160.

განთავისუფლებულ იქმნას სრულიად სამსახურიდან თანახმად თავისი თხოვნისა, სამრეწველო მცირე განყოფილების საქმის მწარმოებელი სვიმონ ილიას ძე ჯაფარიძე ამა წლის 1 მაისიდან.

6 მაისი, 1920 წ. № 161.

დანიშნულ იქმნას დროებით სახელმწიფო ქაღალდების დამზადებელ ექსპედიციის მთვლელად ნინო ალექსანდრეს ასული ნიკიტინი ამა წლის 3 მაისიდან.

11 მაისი, 1920 წ. № 162.

დანიშნულ იქმნას დროებით სახელმწიფო ქაღალდების დამზადებელ ექსპედიციის მთვლელად ანნა იოსების ასული ფალიაშვილი ა. წ. 3 მაისიდან.

11 მაისი, 1920 წ. № 163.

დანიშნულ იქმნას დროებით სახელმწიფო ქაღალდების დამზადებელ ექსპედიციის მთვლელად მარიამ მიხეილის ასული ზაალიშვილის ამა წლის 6 მაისიდან.

11 მაისი, 1920 წ. № 164.

დანიშნულ იქმნას დროებით სახელმწიფო ქაღალდების დამზადებელ ექსპედიციის მთვლელად სოფიო ირაკლის ასული ბახჩალოვი ამა წლის 3 მაისიდან.

11 მსისი, 1920 წ. № 165.

დანიშნულ იქმნას დროებით სახელმწიფო ქაღალდების დამზადებელ ექსპედიციის კონტროლიორის თანამდებობაზე ევტიხი ბესარიონის ძე ლორია ამა წლის 5 მაისიდან.

11 მაისი, 1920 წ. № 166.

დანიშნულ იქმნას დროებით სახელმწიფო ქაღალდების დამზადებელ ექსპედიციის კონტროლიორის თანამდებობაზე ივანე ნიკოლოზის ძე ბიწკინაშვილი ა. წ. 4 მაისიდან.

11 მაისი, 1920 წ. № 167.

დანიშნულ იქმნას დროებით სახელმწიფო ქაღალდების დამზადებელ ექსპედიციის კონტროლიორის თანამდებობაზე შალვა იოსების ძე ტყავაძე ა. წ. 4 მაისიდან.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მოვალეობის აღმასრულებელი

ხ. ავალიანი.

იუსტიციის მინისტრისა.

28 მაისი, 1920 წ. № 162.

თავისუფლება მიეცეს ავადმყოფობისა გამო შულავრის უბნის გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებელს ალექსანდრე როგალინს ა. წ. მაისის 27-დან ერთი თვის ვადით.

28 მაისი, 1920 წ. № 163.

დაინიშნოს რაჭის მეორე უბნის გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებლად სასამართლოს თანამდებობათა უმცროსი კანდიდატი იოილ გრიგოლის ძე ლორთქიფანიძე ა. წ. მაისის 28-დან.

იუსტიციის დეპარტამენტის დირექტორისა.

29 მაისი, 1920 წ., № 166.

დაინიშნოს იუსტიციის სამინისტროსთან არსებულ მომქმედ კანონების გადამსინჯავ კომისიის საქმის მწარმოებლად ტფილისის სასამართლო პალატასთან მყოფი სასამართლოს თანამდებობათა უმცროსი კანდიდატი ნინო ნიკოლოზ ლომოურის ასული ამა წლ. ივნისის პირველიდან.

28 მაისი, 1920 წ., № 165.

დაინიშოს თანახმად თავისი თხოვნისა ტფილისის საგანგებო სასამართლოს წევრი ლაზარე ბეჟანის ძე შურღაია იუსტიციის სამინისტროსთან არსებულ მომქმედ კანონების გადამსინჯავ კომისიის წევრად ამა წლის ივნისის პირველიდან.

იუსტიციის მინისტრი **რ. არხენიძე.**

გზათა დეპარტამენტის.

15 მაისი, 1920 წ., № 54.

დაშვებულ იქნეს დროებით ბაქოსთან მიმოსვლის განახლებამდის ბუხჰალტერიაში გზათა დეპარტამენტის ნავთის ნაწარმოების მიმღები და გამგზავნი აგენტი გზათა დეპარტამენტის წარმომადგენელთან ადერბეიჯანში ანდრია მელიტონის ძე გაბუნია ამა წლ. მაისის ათიდან თვეში 4.550 მან. ჯამაგირის მიცემით ნავთის ნაწარმოების ანგარიშიდან.

17 აპრილი, 1920 წ., № 56.

მტკიცდება: გზატკეცილთა სამმართველოს მერვე დისტანციის უფროსის თანამდებობის აღმასრულებლად ინჟენერ-ტეხნოლოგი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე კალატოზიშვილი დისტანციის უფროსის უმაღლესი ჯამაგირით ამა წლის პირველ მაისიდან.

სახაზინო და კახეთის რკინის გზების სამართველოებისადმი.

№ 58.

ამ რამდენიმე დღის წინად სადგურ სამტრედიის უფროსმა ბ. შათირიშვილმა ჩაიდინა საქციელი ყოვლად დამამცირებელი რესპუბლიკის მოქალაქისათვის ტ მეტადრე რკინის გზის მოსამსახურისათვის. საქციელი მდგომარეობდა უდიერ და უტაქტო მოქმედებაში რესპუბლიკის მთავრობის წევრთან.

ბ. შათირიშვილმა სრულიად დაივიწყა თავისი უფლება-მოვალეობანი და ხალხის ნდობით აღჭურვილ მთავრობის წევრს გაუბედავ ის, რასაც წინად ვერ გაუბედავდა უბრალო მოხელეს.

ასეთ ადამიანს და ასეთ შეუგნებელ მოსამსახურეს ადგილი არ უნდა ჰქონდეს რკინის გზაზე. ასეთი საქციელი უდრის არსებითად მთავრობის წინააღმდეგ პროვოკაციის გაწევას და თუ რომელიმე რკინის გზის მოსამსახურეს ასე ესმის დემოკრატიული მოპყრობა —საჭიროდ ვსთვლი გავაფრთხილო, რომ ის იგრძნობს დემოკრატიულ მთავრობის მტკიცე ხელს და ნებისყოფას.

წინადადებას ვიძლევი ბ-ნი შათირიშვილი სრულიად დათხოვნილ იქნეს სამსახურიდან.

რკინის გზის ყველა მოსამსახურეთ მოეთხოვება არა მარტო სასტიკი ასრულება ტეხნიკურ ინსტრუქციისა, არამედ ზრდილობიანი მოპყრობა ყველა მგზავრებთან და სათანადო ყურადღება და პატივისცემა იმ პირთა მიმართ, ვისაც მთელმა ჩვენმა ხალხმა ჩააბარა საგანმგებლოდ თავისი ბედიღბალი.

ეს ბრძანება გამოეცხადოს სახელმძღვანელოდ რკინის გზის ყველა აგენტებს.

გზათა დეპ. დირექტ. **ჭიჭინაძე.**

არა ოფიციალური განყოფილება

საქართველოს რესპუბლიკის სამაზრო ეროგათა გამგეობებს.

მიწათ.-მოქმედების მინისტრმა შემდეგი აცნობა ერობებს: სამინისტროში მოსული ცნობებით ზოგიერთი სარაიონო კომისიის მდივნები და მიწის მზომლები პირნათლად არ ასრულებენ თავის მოვალეობას, სათანადო ენერგიით და გულმოდგინებით არ ეკიდებიან საქმეს, უმიზეზოთ აცდენენ დღეებს და სათანადო უფროსისაგან ან ერობისაგან ნებართვის მიუღებლად სტოვებენ თავიანთ რაიონს და პირადი საქმეების გამო ქალაქებში მიდიან. ასეთი არა კეთილსინდისიერი მოპყრობა სამსახურის მოვალეობისადმი ყოვლად შეუწყნარებლად და დაუშვებლად მიმაჩნია. საადგილ-მამულო რეფორმის დაჩქარებით დასრულება დღეს ერთი უმთავრესი და მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საქმეა და ვინც ამაში განზრახ ან უბრალო დაუდევრობით ხელის შემშლელათ გამოვა, ის ჩვენი რესპუბლიკის და ხალხის მტერია. ასეთ დამნაშავეთა წინააღმდეგ საჭიროთ მიმაჩნია მიღებულ იქნეს ენერგიული ზომები. ამიტომ ვთხოვ სამაზრო ერობათა გამგეობებს გააძლიერონ კანტროლი საადგილ-მამულო რეფორმაზე მომუშავე პერსონალისა და ამ მიზნით სავსებით გამოიყენონ საადგილ-მამულო განყოფილების შტატი, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა იქნეს ყველგან შევსებული. ცირკულიარული მიწერილობით წინადადება მიეცეთ თემების გამგეობებს, რომ ყოველდღიური მუშაობის ანგარიში მოსთხოვონ სარაიონო კომისიების თავმჯდომარეებსა, მდივნებს და მიწის მზომლებს და ფხიზლათ ადევნონ თვალყური კომისიების საქმიანობას. თუ რომელიმე მათგანი თავის დანიშნულების სიმაღლეზე არ იქნება, თემის გამგეობამ ეს გარემოება დაუყონებლივ უნდა აცნობოს სამაზრო ერობის გამგეობას საჭირო ზომების მისაღებათ. სათანადო ნებართვის მიუღებლად გაცდენილი დღეებისათვის თანამდებობის პირებს უნდა დაეკავოს ამ გაცდენილი დღეების ხვედრი ჯამაგირი და დღიურები. ასეთ პირთა სახელი და გვარი უნდა აცნობოთ სამინისტროს ოფიციალურ ორგანოში გამოსაქვეყნებლათ. თანამდებობის პირი, რომელიც განმეორებით შემჩნეული იქნება სამუშაო დღეების უმიზეზოთ გაცდენაში, პასუხის გებაში იქნება მიცემული და მკაცრათ დაისჯება.

ვსთხოვ სამაზრო ერობათა გამგეობებს ამ განკარგულების პირი დაუყონებლივ დაუგზავნონ თემებს სისრულეში მოსაყვანათ და საერთოდ მიიღონ საჭირო ზომები საადგილ-მამულო რეფორმის დასაჩქარებლათ.

მიწათ-მოქმედების მინისტრი **ნ. ხომერიკი.**

ტფ. და აღმოსავლეთ საქართველოს გენ. გუბერნატორისაგან.

საყოველთაოდ ცხადდება, რომ მიმდინარე წლის ივნისის 1- დან ყოველ დღე ტფილისიდან ბაქოს ღამის 12 საათზე ფოილოს მიმართულობით გავა ერთი სამგზავრო მატარებელი.

მგზავრები უნდა ეცადნენ მცირე ბარგი იქონიონ თან და საკმაო სანოვაგე, ვინაიდან მათ ბორნამდე თითქმის 12 ვერსი ფეხით მოუხდებათ სიარული. ყოველ მატარებელზე მიიღება არა უმეტეს 200 მგზავრისა.

იმ პირთ, ვისაც ამ მატარებლით სურთ წასვლა უნდა გამოცხადნენ გენ.-გუბერნატორის კანცელარიაში დღის 9—11 საათამდე სათანადო ნებართვის მისაღებად.

ოკუპაციის გამო ჯარში გაწვეულთა ოჯახებისათვის დახმარების წესები

შინაგან საქმეთა სამინისტრომ შემდეგი შინაარსის წესები დაუგზავნა ერობებს ჯარში გაწვეულთა ოჯახებისათვის დახმარების დროს სახელმძღვანელოდ.

1. მობილიზაციით ჯარში გაწვეულ პირთა ოჯახებს დახმარება ეძლევათ სახელმწიფო ხაზინიდან თუ ასეთი ოჯახის ნივთიერი მდგომარეობა გაუარესდა ოჯახის მარჩენალის სამხედრო სამსახურში წასვლის გამო.

შენიშვნა: სამხედრო სამსახურში გაწვეულთ, მუშებს და მოსამსახურეების ოჯახებს 1 მუხლში ნაჩვენები დახმარება ხაზინიდან არ ეძლევათ, რადგან საქართველოს პარლამენტის მიერ 1919 წლის 30 იანვარს მიღებულ კანონით ასეთ პირებს ადგილები ენახებათ და ჯამაგირის ნახევარი ეძლევათ იმ დაწესებულებებიდან, სადაც ჯარში გაწვევისას მსახურებდენ.

2. დახმარების რაოდენობის განსაზღვრის დროს მხედველობაში მიღებული უნდა იქნას: ცოლი (თუნდა სამოქალაქო ქორწინებით შეუღლებული) და მცირე წლოვანი, ე. ი. 17 წლამდის შვილები, და 17 წლისაზე უფროსიც, თუ ამ უკანასკნელს ავადმყოფობით ან ფიზიკური ნაკლულევანობის გამო შრომის უნარი დაკარგული აქვს (გათხოვილი ქალები მხედველობაში არ მიიღებიან).

შენიშვნა: მამა, დედა, დები, ძმები, დიდედა, პაპა, მამიდა, დეიდა და ქვრივი ქალიშვილები და სხვა ჯარში გაწვეულის მახლობელი— მხედველობაში მიღებული უნდა იქნან თუ მათ სხვა მარჩენალი არ გააჩნიათ გარდა ჯარში გაწვეულ პირისა.

3. ოჯახის შემადგენლობის და მისი ნივთიერი მდგომარეობის გამოკვლევა ევალებათ ადგილობრივ თვითმართველობებს: ქალაქებში ქალაქების გამგეობებს, და მაზრებში თემების გამგეობათ.

4. ადგილობრივ თვითმართველობის მიერ შეკრებილ ცნობებში უნდა იყოს: ა) სახელი, მამის სახელი და გვარი ჯარში გაწვეულის ცოლისა, ბ) სახელები და წლოვანება შვილებისა, გ) თუ შვილი 17 წლისაზე მეტია, არის თუ არა შრომის უნარ მოკლებული, დ) არის თუ არა ოჯახში მეორე მუხლის შენიშვნაში აღნიშნული ნათესავი ან მახლო-

ბელი ჯარში გაწვეული პირისა, თუ არის ვინ, და იყო თუ არა ჯარში გაწვეული მისი ერთად ერთი მარჩენალი პირი, ე) თუ ჯარში გაწვეულს ჰყავს მცირე წლოვანი სრულიად ობოლი ძმები და დები, ან ქვრივი ჯარისკაცის მცირე წლოვანი შვილები—ვის მზრუნველობაზე არიან დატოვებული ბავშვები. ვ) სახელი, მამის სახელი და გვარი ჯარში გაწვეულისა, დრო ჯარში გაწვევისა და რომელი სოფლის მცხოვრებია, და ზ) რამდენი დესეტინა ადგილი მოუხნა და დაუთესა ჯარში გაწვეულის ოჯახს.

5. ადგილობრივ თვითმართველობათაგან შეკრებილი ცნობები ორ ცალად ეგზავნება სამაზრო ერობის გამგეობას, რომელიც თვითეული ოჯახის შემადგენლობის და ნივთიერ მდგომარეობის განხილვის შემდეგ განსაზღვრავს დახმარების რაოდენობას. ქალაქებში დახმარების რაოდენობას განსაზღვრავს ქალაქის გამგეობა, ან განსაკუთრებული ამ მიზნისათვის საბჭოს მიერ არჩეული კომისია.

6. დახმარება მიეცემა ოჯახს 500 მან. 1500 მანეთამდის ოჯახური მდგომარეობის მიხედვით.

7. დახმარება ეძლევა ოჯახს ოჯახის მარჩენალის ჯარში მიღების დღიდან და დემობილიზაციის შემდეგ ორი კვირა კიდევ.

8. ომში დასახიჩრებულთ და შრომის უნარ დაკარგულ ჯარის კაცების ოჯახებს და აგრეთვე ომში მოკლულების, ან ომში უკვალოდ დაკარგულების ოჯახებს. ეს დახმარება ეძლევათ 1919 წლის 30 იანვრის და 10 ივნისის კანონებით. დახმარების დანიშვნამდის ქვრივის გათხოვებამდის და მცირე წლოვანთ 17 წლამდის და ტყვეთ წაყვანილების ოჯახებს დახმარება ეძლევათ მათ დაბრუნებამდის, თუ ტყვეობაში ჩავარდა არა თავის ნებით.

9. დახმარების განსაზღვრის დროს მხედველობაში უნდა იქნას მიღებული რა დახმარება აღმოუჩინა ერობამ ჯარში გაწვეულის ოჯახს: ა) თუ ასეთ ოჯახს ერობამ მოუხნა და დაუთესა ერთ დესეტინაზე მეტი მამული ოჯახს დახმარება ეძლევა, მისი შემადგენლობის მიხედვით, ზემო მოყვანილ მეექვსე მუხლში ნაჩვენებ დახმარების რაოდენობის მესამედი.

ბ) თუ ერობამ ასეთს ოჯახს მოუხნა და დაუთესა ერთი დესეტინა დახმარება მიეცემა ოჯახის შემადგენლობის მიხედვით მეექვსე მუხლში მოყვანილ დახმარების ნახევარი. (ერთ დესეტინაზედ ნაკლები მოხნული და დათესილი მხედველობაში არ მიიღება).

გ) თუ ერობამ დასახმარ ოჯახს მხოლოდ დაუთესა ჯარში გაწვეული ოჯახის მარჩენალის მიერ მოხნულ მამულში და ეს მამული არა ნაკლებ ერთი დესეტინისა არის დახმარებათ მიეცემა, ოჯახის შემადგენლობის მიხედვით, მეექვსე მუხლში მოყვანილი დახმარების რაოდენობის ნახევარი.

10. სამაზრო ერობა, სახელმწიფო ხაზინიდან მიღებულ თანხას ანაწილებს თემებს შორის დასარიგებლათ იმის მიხედვით, თუ რამდენ ოჯახს დაენიშნა დახმარება და რამდენი თვითეულს.

11. დამტკიცებულ სიების ერთ ეგზემპლიარს სამაზრო ერობის გამგეობა უბრუნებს, ფულთან ერთად სათანადო თემის გამგეობას ეს უკანასკნელი ურიგებს ხვედრ ფულს კუთვნილებისამებრ, განსაკუთრებულ სიით, რომელიც ფულის დარიგების შემდეგ დაუყონებლივ ეგზავნება სამაზრო ერობას.

შენიშვნა: თემის გამგეობას არ მიეცემა შემდეგი ხვედრი თანხა დასარიგებლათ თუ უკვე დარიგებულ თანხის სიები არ დაუბრუნა სამაზრო ერობას.

თემიდან მიღებულ სიებს სამაზრო ერობა ყოველთვიურად წარმოუდგენს შინაგან საქმეთა მინისტრს.

12. ამ წესდების პირველ მუხლში აღნიშნული დახმარება ეძლევა აგრეთვე იმ პირების ოჯახებს, რომელნიც სამხედრო სამსახურში ბევარის მოსახდელად იყვნენ გაწვეულნი, სამსახურის ვადა შეასრულეს, მაგრამ ომიანობის გამო დატოვებულ იქნენ სამხედრო სამსახურში თუ ოჯახის მდგომარეობა აკმაყოფილებს ამ წესების მოთხოვნილებებს.

13. დახმარება ეძლევა ნამდვილ სამსახურში მყოფ იმ ჯარის-კაცთა ოჯახებს, რომელნიც ერთად ერთი მარჩენალნი იყვნენ ოჯახისა, მაგრამ საჭირო საბუთების დროზედ წარმოუდგენლობის გამო არ იყვნენ სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლებული, თუ ასეთი ჯარისკაცი მიღებული იყო სამსახურში 1920 წლ. 1 მარტამდის და სამაზრო ერობას გაგზავნილი ჰქონდა სამხედრო აღრიცხვის უფროსთან სათანადო მოწმობა იმის შესახებ, რომ ის ერთად ერთი მარჩენალი იყო ოჯახისა, თუ ამ ოჯახის მდგომარეობა აკმაყოფილებს ამ წესების მოთხოვნილებებს.

14. თემების მიერ წარმოდგენილ იმ ცნობების შემოწმება, რომელიც ეხება სამხედრო სამსახურში გაწვევის ვადას სამსახურში დატოვებას ომიანობის გამო სავალდებულო სამსახურის შესრულების შემდეგ სამაზრო ერობამ უნდა შეამოწმოს სამხედრო აღრიცხვის ნაწილის სამმართველოში.

15. დახმარების მიღების უფლებას ჰკარგავენ ოჯახები იმ შეთხვევაში: ა) უკეთუ ჯარში გასაწვევი მობილიზაციის დროს საპატიო მიზეზების გარეშე აღნიშნულ დროზედ არ გამოცხადდა მიმღებ კომისიაში, დ) ჩაიდენს დეზერტირობას ან თავის ნებით დასტოვებს სამხედრო სამსახურს ან ნებაყოფლობით ჩავარდება ტყვეობაში, გ) და ის ოჯახები, რომელნიც რაიმე ცვლილების გამო ზემოთ მოყვანილ წესებს ვერ დააკმაყოფილებენ.

16. დახმარების ფულიდან არავითარი თანხა აღმასრულებელი ფურცლით, ან სხვა ნაირად დაჭერილი არ შეიძლება იყოს.

17. სამაზრო ერობების და ქალაქის გამგეობის დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ორი კვირის განმავლობაში გადაწყვეტილების გამოცხადების დღიდგან, შინაგან საქმეთა მინისტრთან.

18. გარდა ქ. ქ. ტფილისისა, ქუთაისისა, ფოთისა და სოხუმისა, რომლებსაც საჭირო თანხა პირდაპირ ცალკე ეგზავნება, დანარჩენ ქალაქებს დახმარება მიეცემა იმ თანხებიდან, რომელიც ეგზავნება სამაზრო ერობას. დახმარების განაწილება ერობასა და მის ტერიტორიაზე მდებარე ქალაქებს შორის უნდა მოხდეს ერობის და ქალაქის გამგეობის შეთანხმებით.

ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტი

1. ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტი სთხოვს ყველა თავის თანაშემწეთ ყულაბები და შემოწირულებათა ასაკრეფი წიგნაკები დაუყონებლივ უკანვე დააბრუნონ სასახლეში, კომიტეტის კანცელარიაში.

2. ყველა ორგანიზაციებმა, დაწესებულებებმა, კლუბებმა და კერძო პირებმა ფრონტის საჭიროებისათვის გაღებული თანხა ეხლავე უნდა შეიტანონ კომიტეტის კასაში, სასახლეში.

3. პროვინციის კომიტეტებმა, სადაც ფრონტის დღეები იყო მოწყობილი, უნდა საჩქაროდ გადმოგზავნონ შეგროვილი თანხები ტფილისში მთავარ კომიტეტის მისამართით სასახლეში.

4. ყველა დაწესებულებანი, რომელთაც საჩუქრები აქვთ დამზადებული ან გაგზავნა აქვთ განზრახული, ვალდებულნი არიან აცნობონ რამდენსა და რომელ ფრონტზე ეპირებიან გაგზავნონ, უამისოდ რკინის გზა ნივთებს არ მიიღებს.

5. დღეიდან ფრონტის საჭიროებისთვის შემოწირულებათა შეგროვება კომიტეტის ნება დაურთველად არ შეიძლება. თუ ეს პირობა დაცულ არ არის, ყველას ვსთხოვთ აცნობონ მთავარ კომიტეტს.

ყველას საყურადღებოთ: შემოწირულებათა დაწვრილებითი სია ფულითა და ნივთით შემოტანილი კომიტეტის საწყობში განცხადებულ იქნება ყველა გაზეთებში და აუცილებლად "საქართველოს რესპუბლიკაში". თუ რაიმე გამოურკვევლობას ექნეს, ადგილი ეცნობოს კომიტეტს.

ბაქო

ბაქოს რაიონში საბჭოთა რუსეთის ოთხი ჯავშნიანი მატარებელი დგას. ერთი მათგანი დგას სადგ. აქსტაფასთან, ორს განაგებენ მეზღვაურები. ჯარში მკაცრი წესრიგია დაცული. ჯარისკაცებს მოსდით საბჭოთა ჟურნალ-გაზეთები. ბაქოს რაიონში არის სააგიტაციო მატარებელი, რომელსაც აქვს თავისი სტამბა, კინემატოგრაფი, აგრეთვე სამკითხველო და ლიტერატურა. მატერებელი სცემს გაზეთებს, აწყობს ლექციებს და აგრეთვე კინემატოგრაფს. ჯარის საუკეთესო ნაწილად ითვლება მე-2 არმია გენერ. ლევანდოვსკის ხელმძღვანელობით. მაისის შუა რიცხვებამდე ჯარი მოდიოდა ჩრდილოეთიდან ბაქოში, ეხლა კი ბაქოდან მიდის. ნაწილი გაიგზავნა პოლონეთის ფრონტზე, ნაწილი სპარსეთში. საზოგადოთ პოლონეთის ფრონტი აწუხებს კომუნისტების ხელისუფალთ. ადერბეიჯანის კომუნისტურ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა თავის პარტიის წევრთა 10% მობილიზაცია გამოაცხადა პოლონეთის ფრონტზე გასაგზავნათ. ამ მობილიზაციის გამო გავრცელდა ხმები, რომ ბალშევიკებმა გამოაცხადეს იძულებითი მობილიზაცია მუსულმან მცხოვრებთაო. მობილიზაცია კი არ ყოფილა გამოცხადებული.

ბაქოში ჩრეზვიჩაიკის თავმჯდომარე გამოიცვალა. დანიშნულია ვინმე ჩერევეი („სლ".)

დეპეშები

(საქართვ. დეპეშათა სააგენტო)

მოსკოვი, ც. კ. ა. ბ. ბ. ბიულეტენი.

მოსკოვი, 1 ივნისი. სამხედრო ცნობები. სვენციანის მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს დაბა კოზიანი და მის სამხრეთით მდებარე სოფლები. მოლოდეჩნოს მიმართულებით ჩვენმა ნაწილებმა სასტიკი ბრძოლის შემდეგ მტერს წაართვეს რამდენიმე სოფელი, რომელიც წინა დღით დავკარგეთ. დაბა ფორინოვის რაიონში ჩვენი ჯარები ხელახლა გადავიდენ დვინაზე და რამოდენიმე სოფელი დაიკავეს. ბორისოვის რაიონში ჩვენები გადავიდენ ბერეზნაზე... ბრძოლა გრძელდება. ჟლობინ-მოზირის მიმართულებით რკინის გზის რაიონში სასტიკი ბრძოლებია 54 ვერსზე... (გამოტოვებულია)... რაიონში ჩვენმა ნაწილებმა ბრძოლის შემდეგ მტრის უძლიერეს ძალების მოწოლის გამო რამოდენიმეთ უკან დაიხიეს ახალ პოზიციებზე.

ლიონის რადიო სადგური.

(ინგლისურ ენაზე).

ექს-ხელმწიფე კარლმა 1918 წ. ოქტომბერში გერმანიის ექს-კაიზერს შემდეგი შინაარსის წერილი მისწერა: ჩემთვის, ძალიან ძნელია, მაგრამ ვალდებულათ ვსთვლი თავს, გაცნობოთ, რომ ჩემს ხალხს არ შეუძლია ომის არც მხარის დაჭერა და არც გაგრძელება. მე არა მაქვს მორალური უფლება ამ სურვილის წინააღმდეგ წავიდე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სასურველი გამოსავლის იმედი არ არის. ყველა მატერიალური და მორალური საშუალება ომის გასაგრძელებლად უკვე გამოვიყენეთ და ჩემი სინდისი მიკრძალავს უსარგებლოთ განვაგრძო სისხლის ღვრა. ამ ორი ერის კავშირისადმი ერთგულება მიბრძანებს ბოლოს ბოლოს, ამიტომ მე გაფრთხილებთ თქვენ ჩემს შეუცვლელ გადაწყვეტილებაზე დროებითი და სეპარატიული ზავის დაუყონებლივ შეკვრის შესახებ.

(დასაწყისი არ მიგვიღია). ბალშევიზმი უნგრეთში არ დაბრუნდება, მაგრამ იგი სანამ მოისპობოდეს გავრცელდება ჩინეთში და დაემუქრება იაპონიას, ამას ხელს შეუწყობს უცხოელთა ჯარის შესვლა.

ჟენევიდან იუწყებიან: გერმანიაში რუსის ტყვეების დაბრუნების შესახებ კონვენციის რატიფიკაცია ეხლახან მოახდინა ბერლინის და მოსკოვის მთავრობამ. ჯარის-კაცები ლიტვაზე გაივლიან. საკითხი უნგრეთის ტყვეების რუსეთში დაბრუნების შესახებ ჯერ არ გამორკვეულა, მაგრამ ხმა დადის, რომ უნგრეთის ყოფილი პრემიერი გუსარი მალე წავა ამერიკაში, რათა ტყვეების გადაყვანა მოაწყოს ციმბირზეო.

რამდენიმე დღის წინათ საფრანგეთის მთავრობამ დაარსა ახალი მედალი საფრანგეთისდედებისათვის, რომელთაც დიდი შთამომავლობა ეყოლება. სახელმწიფოს მხრივ მადლობის გამოცხადების ნიშნად მედალით დასაჩუქრებენ მხოლოდ იმ დედებს, რომლებიც მორალურად და ფიზიკურად აღზრდიან თავის შვილებს და შთააგონებენ მათ მოვალეობას სამშობლოს წინაშე. 5 წელზე არა ნაკლებ ხუთი ცოცხალი შვილის დედა მიიღებს ბრინჯაოს მედალს, 8 შვილის დედა ვერცხლისას და ათი შვილისა კი ოქროს მედალს. ეს ზომა მხოლოდ მთავრობის კომპანიის ნაწილია ერის გადაგვარების წინააღმდეგ და მცხოვრებთა რიცხვის გასამრავლებლად.

პარიზში, თეატრის ჰორიზონტზე ახალი კონფლიქტი მოხდა. ეს არის შედეგი შექმნილ კავშირისა, რომელიც შრომის ეროვნულ ფედერაციის განყოფილებათ ითვლება. პარიზის მსახიობთა დიდი ნაწილი, რომელნიც ამ პროფესიონალურ კავშირისა და ფედერაციის წევრები არიან ხშირად მიმართავენ ხოლმე თეატრის ადმინისტრაციას, მაგრამ მათ არავითარ ყურადღებას არ აქცევენ. ამას წინეთ ორი ცნობილი მსახიობი ქალი ფედერაციის მოთხოვნილებით იძულებული იყვენ თავი დაენებებინათ სცენისათვის, რადგანაც ადმინისტრაციამ არ დააკმაყოფილა ფედერაციის მოთხოვნილება. ზოგი მსახიობი ამტკიცებს, რომ თუ ისინი ვალდებული არიან შეუერთდენ ამ კავშირს, მათ უნდა ჰქონდეთ უფლება იმგვარ კავშირში შესვლისა, რომელიც ფედერაციის ფილიალი არ იქნება.

სასურსათო სამინისტრომ განაცხადა: შაქრის რეკვიზიცია არ მოხდება, რადგან მომავალში დიდძალ შაქრის დამზადებას მოველიანო.

რესპუბლიკის პრეზიდენტი ეხლა უკვე კარგად არის.

ირლანდიის საქმეების შესახებ სათათბიროდ სამშაბათს ლონდონში შესდგება მინისტრთა საბჭოს სხდომა ლოიდ ჯორჯის თავმჯდომარეობით, რომელიც ამისთვის კობხამიდან დაბრუნდა. სხდომას დაესწრება მარშალი ფრენჩი და სერი ხატარი გრინუუდა, რომლებიც ამ სხდომაზე საჩქაროთ გამოიწვიეს დუბლინიდან.

გუშინ ლინკოლნშირისა და ლანკაშირის საგრაფოში დიდი კატასტროფა მოხდა. დიდი გრიგალის გამო, რომელმაც გამოიწვია წყლების ადიდება, დაიღუპა მრავალი სოფელი და დიდძალი მცხოვრებნი.

ფრანგული პრესა.

უნგრეთის ხელის მოწერა საზავო ხელშეკრულებაზე

ბუდაპეშტიდან იუწყებიან: უნგრეთის მინისტრთა საბჭომ განიხილა საკითხი—თუ მთავრობის წევრთა შორის ვინ მოაწეროს ხელი საზავო ხელშეკრულებას. გადასწყდა, რომ ეროვნული თავდაცვის მინისტრი გენერალი სოორი ხელშეკრულებაზე ხელის მოსაწერათ გაიგზავნოს.

გადაფრენის გმირი.

ლეიტენანტი როჟე... (დამახინჯებულია) გადაფრენის გმირი, რომელმაც ერთ დღეში ხმელეთა შუა ზღვა ორჯერ გადაიფრინა და მრავალი სხვა გმირობა ჩაიდინა—ევროპაში სამგზავროთ მიდის. მგზავრობის ხაზი შემდეგია: პარიზი — ვარშავა—1200 კილომეტრი, ბუქარესტ—კონსტანტინოპოლი 600 კილომეტრი, კონსტანტინოპოლი—ათინა 1100 კილომეტრი... (შემდეგ დამახინჯებულია).

უცხოეთი

მაჰმადიანთა კონგრესი მიუნხენში.

მიუხენში მაისის შუა რიცხვებში გაიხსნა მაჰმადიანთა კონგრესი. კონგრესი იხილავს სან-რემოს კონფერენციაზე გადაწყვეტილ საკითხებს. კონგრესს თავმჯდომარეობს რუსეთიდან დაბრუნებული ენვერ ფაშა. კონგრესში მონაწილეობას ღებულობენ: სამი არაბის შეიხი, აჰარლების წარმომადგენელნი, ინდუსები, ავღანელები და სხვ.

კრასინი ლონდონში.

ლლოიდ ჯორჯს და ლორდ კერზონს მიუღიათ კრასინი. კრასინის მისვლა ლ. ჯორჯისთვის და კერზონისთვის საყურადღებო ყოფილა იმ მხრივ, რომ ისინი გასცნობიან საბჭოთა რუსეთის პოლიტიკურ წრეების აზრს და მიზანს.

ლატვია და საბჭოთა რუსეთი.

ჰელსინგრფორსიდან იტყობინებიან, რომ ლატვიის და საბჭოთა რუსეთს შორის ამ ჟამად მოსკოვში სწარმოებს მოლაპარაკება ზავის შესახებ. ეკონომიურ საკითხებზე ჯერ ორივე სახელმწიფო არ შეთანხმებულან. უმთავრესი მოთხოვნილება რასაც აყენებს ლატვია ეს არის რუსეთის მიერ მისი დამოუკიდებლობის ცნობა.

ჩეხელთა სოციალისტები და კოალიცია

პრაგიდან იტყობინებიან ჩეხელთა სოციალდემოკრატების ხმის უმრავლესობით ჩეხოსლავაკიაში მმართველობა ისევ კოალიციური ფორმის რჩება. მინისტრ-პრეზიდენტ ტუზარეს დავალებული აქვს შეადგინოს ახალი კაბინეტი.

ადმირ. კოლჩაკი და საბჭოთა რუსეთი

კოპენჰაგენიდან იტყობინებიან, რომ ადმირალი კოლჩაკი და მისი წევრები მიუყვანიათ ქ. ომსკში და იქ საბჭოთა რუსეთის მიერ მოხდება მათი გასამართლება.

ერობა

ქინაქინის შეძენა.

ტფილისის სამაზრო ერობა დიდ ყურადღებას აქცევს ქინაქინის შეძენას. ამ მიზნით ერობა იძენს 6 კილო ქინაქინს, რისთვისაც გადაიდება საჭირო თანხა.

საბეითლო პუნქტის გახსნა.

ტფილისის სამაზრო ერობის თაოსნობით ახლო მომავალში ასურეთში გაიხსნება საბეითლო პუნქტი.

დილმის საავადმყოფოსთვის.

დილმის საავადმყოფოს მოწყობა ერობამ დაავალა მედიკო-სანიტარულ განყოფილებას, რომელმაც შესაფერისი შუამდგომლობა აღძრა მიწათ-მოქმედების სამინისტროს წინაშე.

ცხენების რეკვიზიცია.

ტფილისის სამაზრო ერობის გამგეობა შუამდგომლობს მთავრობის წინაშე, რომ მაზრაში ცხენების რეკვიზიციის დროს მიღებულ იყოს მხედველობაში მცხოვრებთა მდგომარეობა და მეურნეობის ინტერესები.

ახალი ამბები

✦ გენერალური შტაბის ცნობით 1 ივნისს ხულო-დანისპარეულის რაიონში გრძელდება ჩვენი ჯარის შეტაკება ადგილობრივ ბრბოებთან. დანარჩენ ფრონტზე სიწყნარეა.

✦ ტფილისის და აღმოსავლეთ საქართველოს გენერალ-გუბერნატორმა შინაგან საქმეთა მინისტრთან შეთანხმებით გამოსცა დადგენილება, რომლითაც ყველა მოქალაქე ვალდებულია იქონიოს თან მოწმობა სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების შესახებ.

✦ სისხლის სამართლის მილიციის უფროსის თანაშემწე ჩიქოვანი მილიციის შტატის შემოკლების გამო შტატს გარეშე დარჩა.

✦ როგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ ტფილისში აპირობს ჩამოსვლას ცნობილი პროფესორი— ლინგვისტი ნიკოლოზ მარრი.

✦ ქიზიყში მოსულ სეტყვას დიდი ზარალი მიუყენებია ვენახებისთვის. როგორც გადმოგვცემენ სეტყვა ქათმის კვერცხის ოდენა ყოფილა. ბევრგან ამოუჟლეტია ქათმები, დაუხოცია საქონელი. ადიდებულ ხევებს ზოგ ადგილს ხეებიც კი მოუგლეჯია.

✦ დამფუძნებელ კრების თვითმართველობის და მმართველობის კომისიამ აირჩია ახალი პრეზიდიუმი. თავმჯდომარედ—მ. რუსია; თავმჯდომარის ამხანაგად—სამსონ ფირცხალავა; მდივნად—გაბრიელ ცისკარაშვილი.

✦ ფასანაურიდან იტყობინებიან, რომ საქართველოს სამხედრო გზაზე ადგილ ხონდოსთან დიდ ნიაღვრებს გზა სრულიად გაუფუჭებია და მიმოსვლა შეწყვეტილა. მიღებულია ზომები მიმოსვლის აღსადგენად.

✦ განჯაში შეიარაღებულ რუს ბალშევიკთა და ადგილობრივ თათართა მომხდარ შეტაკებაში ორთავე მხარეზე არის მსხვერპლი.

✦ ტფილისის გახეთებში მოთავსებული ცნობა ბორჩალოს მაზრაში ყველისა და ერბოს ქარხნების მიმღებ საგანგებო კომისიის მუშაობის შესახებ სრულებით არ შეეფერება სიმართლეს. კომისიას პირიქით არ დაუმთავრებია ეს საქმე. მან მხოლოდ დაათვალიერა ეს ქარხნები, გაეცნო მათ მდგომარეობას, მოისმინა მექარხნეების საჩივარი—განცხადებანი, პირობით გამოუყო ზოგიერთ მათგანს ნორმები, ჩამოუჭრა დროებით ზედმეტი სივრცის საძოვარი ადგილები ადგილობრივ მკვიდრთა დასაკმაყოფილებლად და შემდეგ დაბრუნდა უკან. კომისიის მუშაობის შეწყვეტა გამოიწვია ორმა გარემოებამ—ერთი მუდმივმა წვიმებმა, რაც ხელს უშლის მიწის მზომელს მინდვრად იმუშაოს და მეორე—ადგილობრივ აღიძრა ბევრი ისეთი კითხვები, რის გამორკვევა და ახალი ინსტრუქციების მიღება საჭირო შეიქმნა თვით სამინისტროსგან. ქარხნების მიღების საქმის დასამთავრებლად კომისია აპირებს ხელახლად გამზავრებას თრიალეთის რაიონში, დაახლოებით ივნისის ბოლო რიცხვებში.

✦ ნიაღვრებს კახეთის რკინის გზაზე ჩალაუბნის შესახვევში ლიანდაგი სრულიად გაუფუჭებია. გუშინ მატარებელი კახეთიდან ტფილისში ჩამოვიდა ღამის 2 საათზე. გზა მეტად დაზიანებულია. ყველა სადგურებიდან გაწვეულია მუშები გზის შესაკეთებლად.

✦ გამოვიდა და ყველა წიგნის და მუსიკალურ მაღაზიებში იყიდება განსვენებულ კომპოზიტორ ნ. სულხანიშვილის ქართული ეროვნული ჰიმნი.

✦ **შემოწირულება.** ჩვენი რედაქციის კანტორამ მიიღო გორელების სასარგებლოდ ზეგანის სკოლის მასწავლებელ ა. მეფარიძისაგან 250 მ., 100 მანეთი მისგან 150 მ. კი მის მოწაფეთა შორის შეგროვილი. ფული გადაეცა მთავარ კომიტეტს.

შორაპნის სამაზრო ხმოსანთა მეხუთე კრებაზე.

სახალხო განათლება.

მეორე დიდი დარგი, რომლისკენაც იყო მიქცეული მთელი ჩვენი ყურადღება გახლავსთ სახალხო განათლება.

მოგახსენებთ, რომ მთავრობას უკვე განზრახული აქვს რესპუბლიკის საზღვრებში შემოიღოს საყოველთაო სავალდებულო განათლება. ჩვენც მიზნათ ეგევე გვაქვს დასახული და ვცდილობთ ხელი შეუწყოთ ამ გადაწყვეტილების ჩქარი ტემპით გატარებას ჩვენს მაზრაში.

დასახული გვქონდა აგრეთვე კურსების გახსნა მასწავლებლებისათვის მოძრავი უნივერსიტეტის მოწყობა და სხვანი, მაგრამ უფულობის გამო ვერ შევსძელით ამათი გაკეთება.

როგორც სხვა დარგები, რევოლიუციის საერთო ნგრევის დროს სკოლის საქმეებიც ძალიან აწეწილ-დაწეწილი იყო. ამაში სხვათა შორის დიდ როლს თამაშობდა აგრეთვე ის გარემოებაც, რომ მასწავლებლები მატერიალურად არ იყვნენ უზრუნველყოფილნი.

როცა სასწავლებლები გადვიბარეთ ჩვენ აქაც იგივე ვნახეთ, რაც ადმინისტრაციაში. 4—5 თვის ჯამაგირები აქაც ბევრს ქონდა აღებული და ამ საქმის მოგვარება, მათი გასტუმრება ძალიან ძვირად დაუჯდა გამგეობას.

მასწავლებლებს რაც მიღებული ჯამაგირები ქონდათ წარსული სამოსწავლო წლის, —ჩვენ იგი გავისტუმრეთ, მათვე მივეცით მთავრობის ჯამაგირების გარდა ერობის მიერ დამატებით გაღებული ჯამაგირებიც, მაგრამ ყველა ამ თანხის ერთად გაღებამ ჩვენ მოგვისპო საშუალება მათთვის კურსები გაგვეხსნა შესაფერი ოდენის მოსაწვდენათ საგანმანათლებლო დარგში.

ენკენისთვიდგან ჩვენ გავხსენით 25 ახალი სასწავლებელი 60 მასწავლებლით. აქედან მთავრობამ 25 მასწავლებლის შენახვა მიიღო. დანარჩენი კი ვიდევით ჩვენს თავზე და ამან ნახევარ მილიონის მეტი ხარჯები მოსთხოვა ერობის გამგეობას.

გამგეობამ შესძლო აგრეთვე მასწავლებლებთათვის მოეწყო სანიმუშო გაკვეთილები ამისათვის განსაკუთრებული ინსტრუქტორების შემწეობით.

მაზრის ფარგალში წარსულ წელში პირველ დაწყებითი სასწავლებლების გარდა, რომელთა რიცხვიც 134 უდრიდა, 234 მასწავლებლით, არსებობდა კიდევ 8 მაღალ-დაწყებითი სასწავლებელი. აქედან მარტო ჭიათურის და ზესტაფონის მაღალ-დაწყებით სასწავლებლებს ინახავდა მთავრობა; დანარჩენებისათვის იგი (მთავრობა) არავითარ კრედიტს არ ხსნიდა და ჩვენ აღნიშნული სკოლები ან უნდა დაგვეხურა ან და მათი ხარჯები გვედვა თავს. ჩვენ პირველს მეორე გზა ვამჯობინეთ. სკოლები ჩავიბარეთ და დიდი შრომის შემდეგ როგორც იქნა მთავრობაც დავითანხმეთ მოეცა პროცენტიული დამატებები ამ სასწავლებლებისათვის.

1 იანვრამდე ა. წ. ამ სკოლების ჩაბარებამ საერთოდ ნახევარი მილიონის ხარჯები მოგვცა. ეს თანხა ჩვენ გავიღეთ, მაგრამ ნაწილი მასწავლებელთა მიმდინარე სამოსწავლო წლის ჯამაგირებისა მაინც გადაუხდელი დაგვრჩა, რამაც გამოიწვია სამართლიანი გულის წყრომა მასწავლებელთა შორის უკანასკნელ ყრილობებზე. ასეთი იყო წარსულში ჩვენი ნაბიჯები სამოსწავლო დარგში.

ჯომავალში ჩვენ ვფიქრობთ ვიზრუნოთ სკოლების გამრავლებაზე,—მეორეს მხრივ ჩვენ ყურადღებას მივაქცევთ სკოლის გარეშე განათლებას. ენკენისთვიდან ჩვენ ვფიქროფთ ყველა სკოლასთან გავხსნათ საკვირაო სკოლები, ანუ სკოლები მოზრდილთათვის და სხვა ასეთები.

მაგრამ უნდა ითქვას მაზრაში, რომ სწავლა-აღზრდის საქმე გაცხოველდეს ამაღლდეს, —საჭიროა თვით ცენტრი იდგეს მაღლა. ამისათვის გამგეობის საგანი იყო და იქნება ზესტაფონში გაიხსნას სახალხო უნივერსიტეტი.

თქვენთვის მოქალაქენო, არ არის დაფარული, რომ სახალხო სკოლებთათვის სათანადო კადრი მომზადებულ მასწავლებლებისა არა გვყავს. ამ მხრივ ჩვენი მდგომარეობა უნუგეშოა; და ეს გვაიძულებს მომავალ წელში გავხსნათ მასწავლებელთა მოსამზადებელი კურსები.

მომავალ სამოსწავლო წლიდან ვფიქრობთ საჭირო იქნება 100 ახალი მასწავლებელი და ვფიქრობთ ეს რიცხვი მასწავლებლებისა ამ კურსებმა უნდა მოგვცეს.

მაგრამ ეს არ კმარა, საჭიროა მუდმივი ორგანოს შექმნა, და ამისათვის ვფიქრობთ მოვხსნათ საოსტატო სემინარია და ქალთა გიმნაზიასთან კი პედაგოგიური კურსები (მერვე კლასი).

უნდა აღვნიშნოთ მაზრაში სკოლებთათვის შესაფერი შენობების სიმცირე. თითქმის ყველგან სკოლის ბინები შეკეთებას საჭიროებენ. შარშან ჩვენ შევსძელით ამათ შესაკეთებლად 50—60 ათას მანეთამდე მივეცა სოფლებთათვის. დანარჩენი ხალხს დავაკისრეთ. მომავალში კი ეს საქმე აუცილებლად თემებს უნდა დავაკისროთ.

მესამე დიდი დარგი საერობო თვითმართველობისა სახალხო ჯანმრთელობა გახლავსთ. ცხადია, თუ ადგილობრივ თვითმართველობის საგანს შეადგენს სახალხო განათლებაზე და ადმინისტრაციაზე ზრუნვა,—ასევე საჭიროა ხალხის ჯანმრთელობაზე ზრუნვაც.

თქვენ გახსოვსთ თუ რა მდგომარეობაში ვიყავით ჩვენ შარშან პარტახტიანი სახადის გამო. მთელი ჩვენი ყურადღება ამის მოსპობას მივაქციეთ და ყველაზე მეტი ხარჯების გაღებაც კი დაგვჭირდა ამ დარგში. ამ სენთან ბრძოლის დროს მთავრობიდან ჩვენ მივიღეთ დახმარების სახით 20,000 მანეთი. ხარჯი კი გავსწიეთ 620,125 მანმთისა.

შარშან ჩვენთვის აუცილებელი საჭირო შეიქნა და გავხსენით კიდევაც „5“ საავათმყოფო, 3 საექიმო და 3 საფერშლო პუნქტები; ეს საავათმყოფოები ეხლაც არსებობენ. აქ საამბულატორიო ექიმობა სრულიად უფასოა, საავათმყოფოებში კი შემოღებული გვაქვს უმცირესი გადასახადი 25—30 მანეთი.

საფთიაქო საქმეებიც მოვაგვარეთ.

ტფილისიდან მივიღეთ სესხის სახით ერთი მილიონის საქონელი და გავხსენით მაზრის რამოდენიმე ნაწილებში აფთიაქები. საწყობი წამლებისა კი მოვათავსეთ ქ. ზესტაფონში.

მომავალში ჩვენ ვფიქრობთ განსხვავებით უნდა ვიმოქმედოთ საექიმო დარგში წარსულთან შედარებით, გამგეობას განზრახვა აქვს საავათმყოფოებში მწოლიარე ავათმყოფების მიღება მოსპოს. ამის გამო თვითეულ საავათმყოფოებში დარჩებიან: 1 ექიმი—1 ფერშალი, 1 ბებია და მსახური—ამით კი საშუალება გვექნება ჩვენი დეფეციტით შექმნილი ბიუჯეტი ოდნავ მაინც გამოვაკეთოთ.

(შემდეგი იქნება).

სენატი

1920 წლის ივნისის 3, სენატის სისხლის სამართლის საკასაციო დეპარტამენტის განყოფილების საკრებულო სასამართლო სხდომაზე განსახილველად დილის ათ საათზე დანიშნულია შემდეგი საქმეები:

საქმე № 31, მაგიდა 2. საკასაციო საჩივრები ბრალდებულთ შაქრო ხატიაშვილისა და ვასო შინჯიაშვილისა სიღნაღის მაზრის მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის განაჩენზე.

საქმე № 32, მაგიდა 2. საკასაციო საჩივრები ბრალდებულთ თევდორე ხიოპიდის, კონსტანტინე ჩარიგონიდის და ივანე კახიოპულოს დამცველის ნაფ. ვექ. ვასილ ტერ-სტეფანოვისა სოხუმის მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის განაჩენზე.

საქმე № 19, მაგიდა 1. საკასაციო საჩივრები ბრალდებულთ იანკელ გერშოვისა და გოლდი აბრამის ასულის შვარცერების ტფილისის სასამართლო პალატის განაჩენზე, რომლითაც ბრალდებულნი ცნობილნი არიან დამნაშავეთ თანახმად 286 მუხლ. სასჯ. დებ.

საქმე № 66, მაგიდა 1. საკასაციო საჩივარი ბადრა და ნიკოლოზ აიბათა და გრიგოლ გუბლიასი სოხუმის საგანგებო სასამართლოს განაჩენზე, რომლითაც ბრალდებულნი დამნაშავედ არიან ცნობილნი თანახმად 1629 და 1632 მუხლ. სასჯ. დებ.

საქმე № 74, მაგიდა 1. საკასაციო საჩივარი ბრალდებულ იზატ იბრაგიმ ოღლი მანიშოღლი ნადირაძისა ტფილისის საგანგებო სასამართლოს განაჩენზე, რომლითაც იგი ცნობილია დამნაშავედ თანახმად 2 ნაწ. 1454 მუხლ. სასჯ. დებ.

მილიციაში

— 31 მაისს სისხლ. სამ. მილიციამ შეიპყრო მე-5 კომისარიატის უმცროსი მილიციელი სერგი გიორგის ძე ბალათურია, რომელმაც აიღო ქრთამი 250 მან., ალექსანდრე ბოგადისგან, რომელიც დონის ფულს ასაღებდა ერევნის მოედანზე და რომელიც შეიპყრო ბალათურიამ. მილიციელი დაპატიმრებულია, საქმე გადაეცა პროკურორს.

— 28 მაისს მიკირტიჩ ტერ-ოგანეზოვმა განუცხადა სისხლ.სამ. მილიციას, რომ მას მოპარეს 150,000 მ. ნივთები ეჭვი აქვს თავის შვილებზე, რომლებიც დაიმალნენ. მილიციამ ისინი შეიპყრო და ნივთები პატრონს ჩააბარა. მათ აღმოაჩნდათ აგრეთვე ფული 21.000 მან.

— ქვრივმა ვერა სამრონოვამ განუცხადა სისხლ. სამ. მილიციას, რომ მას მოპარეს ხალიჩები, ღირებული 500,000 მან. მილიციამ ხალიჩები აღმოაჩინა სიმონ ჯორჯიშვილის ბინაზე. აღმოჩნდა, რომ ეს ხალიჩები მოუპარავს მილიციონერს ანდრია ჯორჯიშვილს, რომელიც დანაშაულში გამოტყდა. ჯორჯიშვილი დაპატიმრებულია.

— 28 მაისს მილიციის უფროსის თანაშემწემ მ. გავრილენკომ შეიპყრო ქ. გაგრის მესამე ბათალიონის მწერალი ე. ხეთარელი, რომელიც ფულიან საბუთების გაყიდვას აპირებდა. გამოირკვა, რომ ხეთარელი 7 მაისს გამოუგზავნიათ გაგრიდან, მას ჰქონია 14,400 მან. სახაზინო ფული და ოფიც. ზუბენკოს კერძო წერილი, რომელშიც 1000 მან. იყო. ხეთარელმა ტფილისში საინტენდანტოდან მიიღო ასიგნობა 541,480 მ., მიითვისა სახაზინო 14,400 მ. და ზუბენკოს 1000 მან. და დღემდე არ სჩანდა. ეხლა კი ცდილობდა ასიგნობის გაყიდვას კერძო პირზე. ხეთარელი გადაეცა თავის ბათალიონის უფროსს.

მილიციამ შეიპყრო ნაფიც ვექილის თანაშემწე ამაზასპ ასატურის ძე ამბარცუმიანცი, რომელსაც ისმაილ ფაიაზოვის მაგიერ მოუწერია ხელი 800,000 მან. ქაღალდზე.

ბიულეტენი

საქარ. ფიზ. ობსერვატორიის

ტფილისი, 31 მაისი 1920 წ.

ნაშუადღ. 1 საათ. ჰაერის წოლა მმ.: 729.8; ჰაერის ტემპერატ.: 13.5; შეფარდებ. სინოტ. %: 72; მოღრუბლ.: 10; ქარი; JE 5; დედამიწის ზენაპირ. ტემპერ.—მოშიშვლებ.: 19.0; ბუნებრივ.: 19.1.

საღამ. 9 საათ.: ჰაერის წოლა მმ.: 730.3; ჰაერის ტემპერ.: 12.5; შეფარდებ. სინოტ. %: 82; მოღრუბლ.: 10; ქარი: JE 4; დედამიწის ზენაპირ. ტემპერ. მოშიშვლებ.: 12.9; —ბუნებრივ.: 14.6; ჰაერის საშუალო ტემპერატ. 31 მაისი: 13.1; ნორმალი: 19.7; მაქსიმალი: 15.5; მინიმალი: 11.7.

დილ. 7 საათ 1 ივნისი. ჰაერის წოლა მმ.: 728.8; ჰაერის ტემპერ. 13.0; შეფარდებ. სინოტივ. %: 81; მოღრუბლ.: 10, ქარი: JE 1; დედა მიწის ზენაპირ. ტემპერ.—მოშიშვლებ.: 16.3; ბუნებრივ.: 16.4; ატმოსფერის ნალექი.: მმ.: 0.1, შენიშვნა:

წვიმა დილ.

დილ. 7 საათ., 31 მაისი 1920 წ.

დაკვირვების ადგილი	ჰაერის ტემპერ.	მინიმალი ტემპერ.	ნალექი მმ.	ქარი	ქარიანობა
ტფილ. [1]	13.2	12	6	№ 3	—
ბორჯომი [2]	10.4	9	22	—	—
ფოთი [3]	14.6	14	2	ENE 3	1
სოხუმი [4]	15.1	14	39	NE 1	1
გაგრა [5]	—	—	10	—	1

შენიშვნა: [1]) წვიმა დილ., დღით., საღამ., ღამ., [2]) წვიმა დილით; დღით., საღამ., [3]) წვიმა დილ., საღამ., [4]) წვიმა დღით., საღამ., ღამ., [5]) წვიმა საღამ.

განცხადებანი

კახეთის რკინის გზის საზ. გამგეობა

თანახმად წესდების § 39 იწვევს ბ. ბ. აქციონერებს მორიგ საზოგადო კრებაზე დასასწრებლად შემდეგი საგნების განსახილველათ: 1. გამგეობის მოხსენება საზოგადოების საქმეების შესახებ და 2. 1919 წ. ანგარიშის დამტკიცება. 598 3—3

დაიკარგა საბინაო დავთარი მადათოვის კუნძ. № 10, მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის ზაქარია ი. ტურძილაძეს. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1190 3—2

დაიკარგა პასპორტი № 516 გაცემული ლოქვალოვსკის ოლქის სამმართველოდან ივანე ვასილის ძე დავიდოვის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1193 3—2

დაიკარგა ტფილისის მილიციის სამმართველოს მიერ გაცემული პასპორტი აბრამ იაკობის ძე შალახოვის სახელზე, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1194 3—2

---

5 მაისის 1920 წ. მე-1044 ნომრით ვაჭრობა-მრეწველობის დეპარტამენტმა ნება დართო გიორგი ვასილის ძე კოჩიევს მის მიერ წარმოდგენილ საქონლის ნიშნით განსაკუთრებულ სარგებლობისა ათი წლის ვადით. 1180 3—2

დაიკარგა პასპორტი, მიღებული რუსთა ნაციონალურ საბჭოდან და მეტრიკული ამონაწერი ვარვარე კონსტანტინეს ასული ზორჩენკოს სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1171 3—2

ზუგდიდის უბნის მომრიგებელი მოსამართლის დადგენილებით, 28 აპრილიდან 1920 წლისა, გაუქმებულია ვექილობა, მიცემული ალექსი უტუს ძე თოდუას, სპირიდონ ბაკუს ძე ცხადაიას, რაჟდენ ტაიას ძე დგებუაძის და ანტონ ნიკოს ძე ყურდგელიას მიერ პეტრე ხახუს ძე ჟვანია, ყაზა ნიკოს ძე შენგელია და ანდრია გიორგიძ ძე ფიფიასადმი, გამოცხადებული ზუგდიდის ნოტარიუსი კუპრაშვილის კანტორაში 3 თებერვალს 1920 წლისა, რეესტრით № 23. 504 1—1

ურბნისის საეპარქიო სასამართლოში შემოიტანა თხოვნა გორის მაზრის, ს. ოკამში მცხოვრებმა ანდრი გაბრიელის ძე ლუნაშვილმა, რომელიც მოითხოვს კანონიერათ განქორწინებას უგზო-უკვლოთ დაკარგულის მისი ცოლის ელენე მალხაზის ასულისაგან ყოფილი ქვრივი რუსიშვილისა; თუ ვინმემ იცის ამ უკანასკნელის ბინადრობა ურბნისის საეპარქიო სასამართლო მოუწოდებს დაუყონებლივ აცნობოს მას დღიდან ამ განცხადების დაბეჭდვისა ერთი თვის განმავლობაში. 1003 1—1

ნესტორ ედიშერის ძე ვაშაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა შემდეგი საბუთები: 1) პიროვნების მოწმობა მიღებული კორბოულის სათემოდან, 2) სახალხო გვარდიის ცხენოსან დივიზიიდან მიღებული ნამსახურობის ნუსხა, და 3) 4—2 და 3 ხარსხის გიორგის ჯვრის მოწმობა, მიღებული 1915 წ. აღნიშნული საბუთები გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1195 3—2

დაიკარგა ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცელ. მიერ გაცემული პიროვნების მოწმობა პეტრე იასონის ძე თავზარაშვილის სახელზე გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1196 3—2

დაიკარგა საჭირო საბუთი დარკვეთის უსახელო საზოგადოების რწმუნებულის იურისკონსულტის სერგი ივანეს ძე გეიდემანის ხელ-მოწერილობის შესახებ, რომ მე უფლება მეძლევა ამ საზოგადოების მიერ ვისარგებლო მათი საცხოვრებელი ბინით, სადაც ეხლაც ვცხოვრობ 1934 წლამდე.-თუ ვისმე ხელში გადავა საზოგადოების საიჯარო მამულები და ბინები, იმ შემთხვევაშიაც მათ მიერ მოცემული საბუთის ძალით ჩემი უფლება ბინით სარგებლობისა რჩება ხელ-უხლებელ უმორჩილესად ვსთხოვ აღნიშნულ საბუთის მპოვნელმა მამაწოდოს შემდეგი მისამართით: ქ. ჭიათურა ვიაჩესლავ კონსტანტინეს ძე ჩხეიძეს. წინაღმდეგ შემთხვევაში გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1202 3—2

დაიკარგა ზედნადების დუბლიკატი № 10,8945 გრიგოლ ჭანტურიას სახელზე ბაქოდან სად. სამტრედიაში თევზის გამოგზავნის 1920 წლ. მარტის 11-ს. 1225 3—2

დაიკარგა პასპორტი № 2415. მიღებული სამურძაყანოს მაზრის მილიციის უფროსისგან ესტატე ნეტუს ძე შონიას სახელზე, 6 თვის ვადით. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1219 3—3

ვექილობა, მიცემული გრიგოლ ილიას ძე მალალოვზე ფერდინანდ პეტრეს ძე ტახტაჯიანის მიერ, და შემოწმებული გარეშე საქმეთა სიმინისტროს კანცელიარიის ვიცე-დირექტორის მიერ 1919 წ. აპრილის 28-ს, № 3041, გაუქმებულია. 1168 3—3

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 1406, მიღებული ალექსანდროპოლის ქალ. გამგეობიდან; სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა № 4603, მიღებული ყარსის საოლქო ყრილობიდან მკრტიჩ ყაზარის ძე მომჯიანცის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1236 3—2

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 1124 დასავლეთ სომეხთა კავშირის აღმასრულებელ კომიტეტიდან მიღებული 1920 წლ. მარტის 17-ს ხაჩატურ მიკირტიჩის ძე პოღოსოვის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1216 3—2

მომარაგების კომიტეტის ყარაულმა ფილიპე პოლშინმა დაჰკარგა იარაღის ტარების მოწმობა, მიდებული შინ. საქ. სამინ. და კომიტეტის მოწმობა, რომ მსახურებს № 1849. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1182 3—3

დაიკარგა მოწმობა № 280 ნ. ი. რაგანტის სახელზე, მიღებული ტფილისის პოლიტეხნიკუმიდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1242 3—2

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა № 7111 დავით ბახტაძის სახელზე, მიღებული ტფ. მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან. გაუქმებულათ ჩაითვილოს. 1245 3—2

დაიკარგა პასპორტმ № 2831 როზალია განსის ასული სიდერმანის სახელზე, მიღებული მოსკოვში 1918 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1256 3—1

დაიკარგა ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კანც. გაცემული პირადობის მოწმობა ნიკოლოზ მიხეილის ძე ხომიზურიშვილის სახელზე გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1189 3—2

დაიკარგა პასპორტი № 199 ვასილი ვასილის ძე პაპოვის სახელზე, მიღებული ქალ. პაკროვში (ვლადიმერის გუბ.) გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1230 3—2

დაიკარგა პასპორტი, № 1820 მიღებული კავკავის კონსულიდან საქართველოში 1920 წ. თებერვლის 28-ს ნესტორ გრიგოლის ძე გამბაროვის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1226 3—2

დაიკარგა პასპორტი № 391 ანტონინა გიორგის ასული რომანოვიჩის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1209 3—2

დაიკარგა უვადო პასპორტი გაცემული ტფილისის მილიციის სამმართველოდან 28 მაისს 1918 წ. 1834 ნომრით, პოლინა ავგუსტის ასულის ჩერნოვას სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1187 3—2

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 2450, მიღებული კავკავის შტაბიდან მარიამ ფროლოვას სახელზე, 4 იანვარს, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1205 3—2

დაიკარგა სამხედრო ბეგრის განთავისუფლების მოწმობა № 2416 ბიქტორ ფილიპეს ძე გოგეშვილის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1201 3—2

დაიკარგა პასპორტი სპირიდონ გიორგის ძე ჯაბანაშვილის სახელზე, მიღებული ყაზბეგის საზოგადოებიდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1203 3—2

დაიკარგა ატესტატი № 993 ტფილისის ვაჟთა გიმნაზიის მიერ 31|V 1916 წ. გაცემული ალექსან. გრიოლის ძე შაიშმელაშვილის სახელზე, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1197 3—2

დაიკარგა მე-9 უბ. კომისარიატის კანცელარიიდან გაცემული ბათომში წასვლის ნებართვა ნიკოლოზ გარსევანის ძე სხირტლაძის სახელზე, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1198 3—2

საქართველოს სახაზინო რკინის გზების სამართველო

ამით აცხადებს, რომ 15 ივნისს, 1920 წელს დილის 12 საათზე იგი იწვევს კონკურენციას შემდეგ სამუშაოებზე:

1) ვაგონების დატვირთვა და გადმოტვირთვა სხვა და სხვა მასალებით და სათბობი მასალით (ქვა-ნახშირი და შეშა.)

2) სათბობ მასალის დარიგება საწყობებიდან მოსამსახურეთა სახაზინო ბინებზე.

3) დატვირთვა ორთქლმავალების ქვა-ნახშირით და აგრეთვე სხვა და სხვა სამუშაოები სამასალო და სათბობ მასალის შემდეგ საწყობებში: ბათომი, სამტრედია, ფოთი, ქუთაისი, ზესტაფონი, შორაპანი, ჭიათურა, ხაშური, ბორჯომი, ტფილისი, სანაინი და დროებითი საწყობი. ვადა სამუშაოებისა ამა 1 ივლისიდან 31 დეკემბრამდე 1920 წ.

განცხადებები უნდა შემოტანილ ან გამოგზავნილ იქნეს თვითეულ საწყობზე ცალკე დახურულ კონვერტში შემდეგი მისამართით: ქალ. ტფილისი, საქართველოს სახაზინო რკ-გზების სამმართველო, სამმასალო სამსახურის უფროსს. დაწვრილებითი ცნობების მიღება ან გამოთხოვა ზემო აღნიშნულ სამუშაოების შესახებ შეიძლება სამასალო ნაწილის უფროსისაგან და აგრეთვე საწყობების ზედამხედველებისაგან ადგილობრივ. 604 3—1

მომარაგების სამინისტროს მიერ გაცემული ნებართვების სია.

რიცხვი	ნებართვის №№	სერია	ფურცელი	გვარი და სახელი.	ხ ა ქ ო ნ ე ლ ი.
9 აპრ.	2508	—	—	ვარანცოვის რაიონულ კოოპერ. კავშირს.	სხვა და სხვა საქონელი.
„	2509	13	612	საქ. სახ. რკ. გზებ. სასურ კომიტ.	პირისაბანი საპონი.
„	2510	„	611	„ „ „ „ „	ბრინჯი და ფეხსაცმელები.
„	2511	„	625	„ „ „ „ „ „	სარეცხის და პირისაბანი საპონი.
„	2513	„	629	რუსთა იტალო შავი ზღვის საზოგ.	ხალიჩები და ფარდაგები.
„	2514	„	630	დემარ ზნაიდა.	კბილეს საექიმო ინსტრუმენტები.
„	2515	„	631	მომ. სამ. რწმუნებ. ბ. მაციევს.	მანუფაქტ. და შაქარი (რაფინადი)
„	2516	1	33	იტალო-კავკ. ბანკის წარმომად.	მატყლი.
13 აპრ.	2519	12	588	კავკ. სამრეწვ. და სამედ. საზოგ.	სხვა და სხვა საქონელი.
„	2520	„	580	„ „ „ „ „	ღვინო ბოთლებით.
„	2522	13	619	„ენფიანჯიანცის“ თამ. ფაბრიკა.	პაპიროსები.
„	2523	„	620	„ „ „	პაპიროსები და დამუშ. თამბაქო.
„	2524	„	621	„ „ „	„ „ „ „
14 აპრ.	2525	„	639	„შვიდი-მნათობის თამ. ფაბრიკა.	„ „ „ „
„	2526	„	632	მომ. სამინ. სასურ. განე. რწმუნ.	ხე-ტყე.
„	2527	„	633	„ „ „ „ „	„
„	2528	„	634	„ „ „ „ „	„
„	2529	„	635	„ „ „ „ „	„
„	2030	„	636	„ „ „ „ „	„
„	2531	„	637	„ „ „ „ „	„
„	2532	„	638	ბაკრამოვი.	სხვა და სხვა საქონელი.
„	2533	„	641	როკინსკი.	ხმალი და თოფი.
„	2535	„	640	კავკ. მთიელთა თავდაც. სამოქ. წარმომ.	მედიკამენტები.
15 აპრ.	2537	13	648	„ენფენჯიანცის“ თამ. ფაბრიკა.	დამუშავებული თამბაქო.
„	2538	„	649	„ „ „	პაპიროსები.
„	2539	„	650	„ „ „	„
„	2540	„	628	„ბოზარჯიანცის“ თამბ. ფაბრიკა.	პაპიროსები და დამუშ. თამბაქო.
„	2541	„	627	„ „ „	„ „ „ „
„	2542	„	626	„ „ „	„ „ „ „
„	2543	14	658	შაინოვი ერვანდ.	თესლეულობა, შაბი და საკმეველი.
„	2544	1	35	ბორჯ., რაიონის სოფლ. წარმ. ახმედ აღა ბერირ ზადე და ნიკოლ. ერისთავს.	ლობიო.
„	2545	„	34	ბორჯ. რაიონის სოფლ. წარმ. ახმედ აღა ბეგირ ზადე და ნიკოლ. ერისთავს.	სიმინდი.
„	2549	13	643	ჯამალიანცი ასატურ.	ცარიელი სკა.
„	2550	2	595	„ენფიანჯიანცის“ თამ. ფაბრიკა.	პაპიროსები და დამ. თამბაქო.
„	2551	„	596	„ „ „	„ „ „ „
„	2552	„	597	„ „ „	„ „ „ „
„	2553	14	657	ზაქათ. მეორე პოლკის კაპელმ. კურდიშნ.	სამუსიკო ინსტრუმენტები.
„	2554	„	656	ოგანოვი ოვანეს.	ცარიელი ტომრები.
„	2555	1	36	სამხედრო სამინისტ. რწმუნებულს.	დუდი (პიგო).
„	2556	13	642	ლორის კოოპ. კავშირისი წარმ.	თხილი, პაპირ. და დამუშ. თამბ.
„	2557	„	646	შეინბროდს მაკრიკი.	მელის, კატის, ტურის, მგლის და „ბარსუკის“ ტყავი.
„	2559	„	615	„კომეტას“ თამბ. ფაბრიკა.	პაპიროსები და დამუშ. თამბაქო.
„	2561	14	674	რკინ. გზებ. სასურსათ. კომიტეტს.	ცარიელი თეჯნის კასრები.
„	2562	13	647	„ „ „	სასწორი.
„	2063	„	644	კახელ მევენახ. „კავშირთ-კავშირის საბჭოს.	ღვინო კასრებით.
„	2564	14	680	რკინ. გზებ. სისურსათ. კომიტეტს.	ლილა, ყენჭი მარილი, კბილის სახეხი ფხვნილი. ბურის ფორმა და საკმელი ხეთი.
„	2565	„	66	ოზიანდერი კ.	ხალიჩები და ფარდაგები.
„	2568	„	673	რატიანი პლატონ.	ხალიჩები.
16 აპრ.	2469	12	555	„საფაროვის“ თამბ. ფაბრიკა.	პაპიროსები და დამუშ. თამბაქო.
„	2571	14	675	სტადონიგსობის რწმ. ს. ს ლანდაუს	თხის ტყავი.
„	2572	„	676	„ „ „ „	„ბარსუკის ტყავი.
„	2573	„	677	„ „ „ „	„
„	2574	„	678	„ „ „ „	მელის ტყავი.
„	2575	„	679	„ „ „ „	„
„	2577	„	689	სომხ. დიპლ. მისიას რწმუნებ. ი. ვ. ბეჟანიანცს.	რვეული, რუქა მელანი და ქაღალდი.
„	2577	15	702	მელკონიანცი გასპარ.	ხალიჩები.
„	2579	„	701	მთიელთა რესპ. დიპლ. მის. რწმუნ. მ. დ. ფარბრტს.	სხვა და სხვა საქონელი.
„	2580	14	680	კამბიაჯის მომუალდა.	სახეზე წასასმელი (крем. сн.)
„	2582	13	610	აბდულ გამიდ. ისმაილოვს.	სხვა და სხვა საქონელი.
„	2583	14	691	სოსინი ივანე.	ადგილობრივი საღებავი მიწა.
„	2584	15	711	ეფრემოვი მიხეილ.	ხალიჩები.
„	2585	„	712	შტაბს-კაპიტანს სარქისიანცს.	საბარგო ინსტრუმენტები.
„	2586	„	713	ჭავჭანიძე ვასილ.	ბურის სპირტი ჯარსებით.
„	2587	„	714	„ „ „	„ „ „
„	2588	14	687	ლიბერზანი იაკობ.	ქვა „ალბა“.
„	2589	„	688	„ „ „	„ „
„	2590	13	645	სამთამადნო სამრეწველო საზოგ. „შრომას“.	ცარცი და „სეროფი“ ხის კასრებშა.
„	2591	5	720	საქართვ. ცენტ. კოოპ. კავშირს.	სხვა და სხვა საქონელი.
„	2592	„	718	ტყიბულ. მაღარ. მუშ. პროფ. კავშ.	ქვა-ნახშირი.
„	2593	„	717	„ „ „ „ „	„ „
„	2594	„	719	„ „ „ „ „	„ „ „
„	2595	12	593	იბაროვი მამედ.	ხის ნაფოტი.
17 აპრ.	2597	15	723	ფეფელოვი ვასილ.	ფიცრები, „ბოლკანკები“ ხის ნაჭრები
„	2598	„	724	„ „	„ბალვანკები.
„	2599	„	722	ტფილ. ხელ. შემნახ.-გამსესხ. ამხ. მომხ. საზოგ.	ნედლი კომბოსტო.
„	2600	„	716	გაბრიელიანცი ენოკ.	კნუტები.
„	2601	„	721	მაჭავარიანი სევერიანე.	ნახშირის მჟავა გაზი.
„	2602	1	715	როში ი. ჰ.	საოჯახო ნივთები.
„	2603	14	692	გამცემლიძე ლევან.	ადგილობრივი ცარცი.
„	2604	„	693	„ „	„ „
„	2606	15	734	კბილის ექიმს მარ. ფაინშტეინს.	„გიპსი“.
„	2607	„	725	ტფილისის სპილენძის ქარხანას.	წითელი ფურცლოვანი სპილენძი.
„	2608	„	726	„ „ „	„ „ „
„	2609	„	727	„ „ „	„ „ „
„	2610	„	728	„ „ „	„ „ „
„	2611	„	729	„ „ „	„ „ „
„	2612	„	730	„ „ „	„ „ „
„	2613	„	731	„ „ „	„ „ „
„	2615	„	732	საქ. რეს. მთავარ. რწმუნებ. ს. ხელაძეს.	სურსათი.